საქართველოს მთავრობის განკარგულება

№905 2016 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

ი/მ „ნუგზარ ჭკადუაზე“ გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, გააგრძელოს სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 15 მარტის №13/173 ბრძანებით ი/მ „ნუგზარ ჭკადუაზე“ (ს/კ: 120360750) გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის (№1000018) მოქმედების ვადა 2016 წლის ოქტომბრამდე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი